

## ლომბარდების სტატისტიკური გამოკვლევის ძირითადი შედეგები (2013 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2013 წლის ბოლოსათვის საქართველოში სალომბარდო საქმიანობით დაკავებული 1031 მოქმედი ორგანიზაცია<sup>1</sup> დაფიქსირდა. აქედან, 45,8 პროცენტი ე. თბილისში მდებარეობს, 13,5 პროცენტი - იმერეთის რეგიონში, 12,3 პროცენტი - აჭარაში, 10,6 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ხოლო დანარჩენი 17,8 პროცენტი სხვა რეგიონებში ფუნქციონირებენ.

ლომბარდების სალაროში არსებული ნაღდი ფულის მოცულობამ, 2013 წლის ბოლოსათვის 13,4 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის 71 პროცენტი გამოსახული იყო ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 29 პროცენტი - უცხოურ ვალუტაში (იხ. ცხრილი №1).

### ლომბარდების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

ცხრილი №1

მაჩვენებლის დასახელება	№	სულ	მათ შორის:	
			ეროვნული ვალუტით	უცხოური ვალუტით
<b>აქტივები (ათასი ლარი)</b>				
ნაღდი ფული	01	13434,5	9519,4	3915,1
ბანკებში არსებული სახსრები	02	3730,5	2874,6	855,9
მათ შორის:				
რეზიდენტ ბანკებში	03	3730,5	2874,6	855,9
არარეზიდენტ ბანკებში	04	0,0	0,0	0,0
გაცემული სესხები	05	310669,1	135035,1	175634,1
აქედან:				
ფიზიკური პირებზე	06	299104,8	134357,8	164747,0
ფიქსირებული (ძირითადი კაპიტალი) და არამატერიალური აქტივები	07	10305,2	10255,6	49,6
სხვა აქტივები	08	1453,4	1008,9	444,6
<b>ვალდებულებები (ათასი ლარი)</b>				
აღებული სესხები	09	209862,9	52908,1	156954,8
მათ შორის:				
რეზიდენტებიდან	10	207883,5	52727,0	155156,5
არარეზიდენტებიდან	11	1979,4	181,1	1798,3

<sup>1</sup> ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა.

მაჩვენებლის დასახელება	№	სულ	მათ შორის:	
			ეროვნული ვალუტით	უცხოური ვალუტით
ფასიანი ქაღალდები	12	0,0	0,0	0,0
სხვა ვალდებულებები	13	1664,4	1122,3	542,1
<b>კაპიტალი (ათასი ლარი)</b>				
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	14	21589,8	20579,6	1010,2
სხვა კაპიტალი	15	4245,8	4187,0	58,8
<b>დამატებითი ინფორმაცია</b>				
მსესხებელთა რაოდენობა (ერთეული)	16	681988,1	-	-
აქედან:				
ფიზიკური პირები (ერთეული)	17	680950,1	-	-
სესხის საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი , %	18	54,1	61,7	48,3

2013 წლის ბოლოსათვის ლომბარდებს ბანკებში განთავსებული ჰქონდათ 3,7 მლნ ლარის ფულადი სახსრები, მათ შორის 77 პროცენტი - ეროვნულ, ხოლო 23 პროცენტი - უცხოურ ვალუტაში.

აღსანიშნავია, რომ ბანკებში განთავსებული თანხის მთლიანი მოცულობა რეზიდენტ ბანკებზე მოდის.

2013 წლის განმავლობაში გაცემული სესხების მოცულობამ 310,7 მლნ ლარი შეადგინა (მათ შორის 43 პროცენტი - ეროვნულ, ხოლო 57 პროცენტი - უცხოურ ვალუტაში). გაცემული სესხების 96 პროცენტი ფიზიკურ, ხოლო დარჩენილი 4 პროცენტი - იურიდიულ პირებზე მოდის.

ლომბარდების საკუთრებაში არსებული ფიქსირებული და არამატერიალური აქტივების მოცულობამ, 2013 წლის ბოლოსათვის 10,3 მლნ ლარი შეადგინა.


საინტერესო სურათს გვაძლევს ვალდებულებების ანალიზი. კერძოდ, 2013 წლის ბოლოსათვის ნასესხები ფულადი რესურსების მოცულობამ 209,9 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის უმრავლესობა (75 პროცენტი) უცხოურ ვალუტაშია ნასესხები, ამასთან სესხის 99 პროცენტი რეზიდენტებისაგანაა აღებული.

ლომბარდების 2013 წლის საბალანსო მოგებამ<sup>2</sup> 21,6 მლნ ლარი შეადგინა, აქედან 54,2 პროცენტი ქ. თბილისში მოქმედ ლომბარდებზე მოდის, ხოლო დანარჩენი სხვა რეგიონებზე ნაწილდება:

- ქ. თბილისი - 54,2 პროცენტი;
- იმერეთი - 18,1 პროცენტი;

<sup>2</sup> გადასახადების გადახდამდე და გაუთვალისწინებელ ხარჯებამდე.


- აჭარა - 12,7 პროცენტი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - 9,3 პროცენტი;



საქართველოში მოქმედ ლომბარდებში, 2013 წლის განმავლობაში მსესხებელთა (კლიენტთა) რაოდენობა 682 ათასი ერთეულით განისაზღვრა. აქედან აბსოლუტური უმრავლესობა (დაახლოებით 99,8 პროცენტი) ფიზიკური პირია.


ქვემოთ მოტანილი გრაფიკი ასახავს მსესხებელთა პროცენტულ განაწილებას რეგიონების მიხედვით:

მსესხებელთა (კლიენტთა) განაწილება რეგიონების მიხედვით



სესხის საშუალოწლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 54,1% შეადგინა. საშუალოწლიური საპროცენტო განაკვეთი გაცილებით მაღალი იყო ეროვნულ ვალუტაში (61,7%). მისი სიდიდე უცხოურ ვალუტაში 48,3%-ით განისაზღვრა.

საშუალოწლიური საპროცენტო განაკვეთის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შიდა ქართლის რეგიონში (81,6%), ხოლო ყველაზე დაბალი (30,8%) მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დაფიქსირდა:



რეგიონების მიხედვით გაცემული სესხების მიხედვით პრევალირებენ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:


- ქ. თბილისი - 62,1 პროცენტი;
- აჭარა - 17,7 პროცენტი;
- იმერეთი - 8,0 პროცენტი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - 5,8 პროცენტი;
- ქვემო ქართლი - 3,8 პროცენტი.

თითქმის ანალოგიური სურათია რეგიონების მიხედვით აღებული სესხების მთლიან მოცულობაში. ამ შემთხვევაშიც კვლავ ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი - 63,7 პროცენტი;
- აჭარა - 13,5 პროცენტი;
- იმერეთი - 9,9 პროცენტი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი 5,3 პროცენტი;

- ქვემო ქართლი - 4,9 პროცენტი.

ქვემოთ მოტანილი დიაგრამა ასახავს რეგიონების მიხედვით (ქ. თბილისის გარდა), 2013 წლის განმავლობაში ლომბარდების მიერ გაცემული და აღებული სესხების მოცულობას:



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

გოგიტა თოდრაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gtodradze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge